



აუდიტის პროცესის ქსელური დაგეგმვა

რეზიუმე

ქსელური დაგეგმვის მთავარი ამოცანაა მოსალოდნელი დაბრკოლებების წინასწარ გამოვლენა და აუდიტორული სამუშაოს შესრულება ჯერ კიდევ მანამ, სანამ ისინი წარმოიშობა. ამის გამო სისტემაში პროგრამის სამი ელემენტია ჩართული: აუდიტის ხარისხობრივი მაჩვენებლები, სამუშაოს შესრულების გრაფიკი და მის განხორციელებაზე გაწეული ხარჯები, გაერთიანებული და გაწერილი დეტალურად აუდიტორული პროცესის პროგრამაში.

სტატიაში მოცემულია აუდიტის პროცესის დაგეგმვა ქსელური გრაფიკების საშუალებით, გაშიფრულია ქსელის შემადგენელი ელემენტები და მათი გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული აუდიტორული პროცესის დაგეგმვის პროცესში. აუდიტის პროცესის სტადიების მიხედვით განსაზღვრულია იმ სამუშაოების ხასიათი, რომლებიც შეადგენს ქსელური გრაფიკის ნაწილს, ასევე აუდიტის პროცესის განხორციელების განსაზღვრული სამუშაოები. ამ სამუშაოებისა და მათი შესრულების გზების მიხედვით გამოითვლება გრაფიკის სიმჭიდროვე. დეტალურად არის გაანალიზებული აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის პროცესის ეტაპები, ხაზგასმულია განსახორციელებელ სამუშაოთა თანმიმდევრობის წინასწარი გასაზღვრისა და მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობა შესაძლო შეფერხებებისა და სამუშაოთა მთელი კომპლექსის ვადების შემცირების მიხედვით; ჩამოყალიბებულია აუდიტის პროცესის ქსელური დაგეგმვის სისტემის ძირითადი ობიექტები, სამუშაოს შესრულების გრაფიკი და მის შესრულებაზე გახარჯული დრო და რესურსები; განხილულია აუდიტორული კონტროლის ჯგუფის ქმედებების ყველა ეტაპი კალენდარული გრაფიკების, სამუშაო პროგრამისა და სხვა დოკუმენტების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: აუდიტის დაგეგმვა. ქსელური გრაფიკი. აუდიტის პროცესი. ქსელური დაგეგმვა.

შესავალი

აუდიტის ზოგადი კანონის პირველი პუნქტი მოითხოვს ობიექტზე მუშაობის ადეკვატურ დაგეგმვას. აუდიტორმა ყურადღებით უნდა დაგეგმოს თავისი საქმიანობა სამი ძირითადი

ტარიელ კიკვაძე
სტუ-ს პროფესორი
ირინე ვარსელაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: gvanca@geu.edu.ge

მიზეზის გამო: ეს მას საშუალებას მისცემს კლიენტის საქმეების შესახებ საკმარისი მტკიცებულებები შეაგროვოს, გონივრულ ფარგლებში მოაქციოს აუდიტის ხარჯები და აიცილოს გაუგებრობა კლიენტთან. საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებების შეგროვება ძალზედ მნიშვნელოვანია აუდიტორული კომპანიისათვის თუ მას სურს სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმუმამდე დაეყვანა და მყარი რეპუტაციის შენარჩუნება თავისი პროფესიის წარმომადგენლებს შორის. ხარჯების გონიერების ფარგლებში მოქცევა ეხმარება ფირმას შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და ამით არ დაკარგავს კლიენტებს, რადგან სახელს გაითქვამს თ თავისი მოვალეობის მაღალი ხარისხზე შესრულებით. კლიენტთან გაურკვევლობის თავიდან აცილება მნიშვნელოვანია იმით, რომ ეს უზრუნველყოფს მათთან კარგ ურთიერთობას და ხელს შეუწყობს სამუშაოს ხარისხიანად შესაბამის ღირებულებით შესრულებაში.

ძირითადი ტექსტი

შეგვიძლია ჩამოვთვალოთ აუდიტის დაგეგმვის ექვსი ეტაპი: აუდიტის წინასწარი დაგეგმვის ღონისძიებები, საერთო ცნობების შეგროვება, ინფორმაციის მიღება კლიენტის იურიდიული ვალდებულებების შესახებ, აუდიტორული არსებითობისა და რისკების შეფასება, საწარმოს შიდასამეურნეო კონტროლის სისტემების გაცნობა და კონტროლის რისკების შეფასება და აუდიტის ჩატარების საერთო გეგმისა და პროგრამის დამუშავება.

1. წინასწარი დაგეგმვა აუდიტის საწყის ფაზაზე ხდება და ხშირად კლიენტის ოფისში. წინასწარი დაგეგმვა მოიცავს შეთანხმებას აუდიტის ჩატარების დაწყებაზე ან გაგრძელებაზე კლიენტთან, მიზეზების დადგენას, რომელზეც დაფუძნებულია აუდიტის შეკვეთა, პერსონალის შერჩევა აუდიტორული ვალდებულებების შესრულებაზე და წერილობითი ვალდებულების შედგენა;



2. აუდიტის აღეკვეთური ჩატარებისათვის მნიშვნელოვანია აუდიტორი კარგად იყოს გაცნობიერებული კლიენტის ბიზნესის სფეროში და იცნობდეს მისი კომპანიის ოპერაციებს. ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი კლიენტის მომსახურების პროცესში მიიღება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ახალ კლიენტს ეხება. საერთო ინფორმაციის მიღება სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი: კლიენტის დარგისა და ბიზნესის გაცნობა, საწარმოს დათვალიერება, საწარმოს (კომპანიის) პოლიტიკის განხილვა, საწარმოსთან დაკავშირებული მხარეების (სუბიექტების) იდენტიფიკაცია და სპეციალისტთა მოზიდვის აუცილებლობის შეფასება;

3. აუდიტის საწყის ფაზაზე მოწმდება იურიდიული დოკუმენტებისა და არქივის სამი ურთიერთდაკავშირებული ტიპი: საწარმოს იურიდიული სტატუსისა და მისი წესდების მინიჭების შეთანხმება, კრებების ოქმების გადამოწმება და კონტრაქტების გადამოწმება. ინფორმაციის განსაზღვრა, მაგალითად კონტრაქტების შესახებ, ფინანსურ ეტაპზე უნდა იყოს გამხელადი. სხვა ინფორმაცია აუდიტის სხვა ფაზაზეა საჭირო. ამ იურიდიული დოკუმენტებისა და მტკიცებულებების საქმიანობის საწყის ეტაპზე გაცნობა აუდიტორებს საშუალებას აძლევს მოახდინონ შესაბამისი მტკიცებულებების ინტერპრეტირება და შეამოწმონ, სწორადაა თუ არა ისინი განმარტებული ფინანსურ ანგარიშგებაში;

4. აუდიტის დაგეგმვაში ძალზედ მნიშვნელოვანია არსებითობისა და რისკის გათვალისწინება. აუდიტორი ვალდებულია აღმოაჩინოს შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით შეცდომას. თუ ის ამ შეცდომას აღმოაჩენს, მაშინ კლიენტს აცნობებს, რათა მან შესწორება შეიტანოს. თუ კლიენტი უარს ამბობს შეცდომის გასწორებაზე, მაშინ აუდიტორი წარადგენს დასკვნას შესაბამისი მონაცემებით ან უაყოფოთ დასკვნას იმის შესაბამისად თუ რამდენად მნიშვნელოვანია არსებითი შეცდომა. ამიტომ აუდიტორებმა კარგად უნდა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ არსებითობის კრიტერიუმი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან რამდენიმე სარისკო ასპექტია დაკავშირებული. რისკის ორი მთავარი სახე ესაა აუდიტორული რისკი და ბიზნესის რისკი. აუდიტორული რისკი შემდეგში მდგომარეობს: აუდიტორი მიდის დასკვნამდე, რომ ფინანსური ანგარიშგება სწორადაა შედგენილი და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნას შენიშვნების გარეშე, მაგრამ სინამდვილეში ფინანსური ანგარიშგება შეი-

ცავს არსებით შეცდომას. ბიზნესის რისკი მდგომარეობს იმაში, რომ აუდიტორმა შესაძლოა წარუმატებლობა განიცადოს კლიენტთან უთანხმოების გამო, იმ შემთხვევაშიც კი, როცა კლიენტისთვის წარდგენილი დასკვნა სამართლიანია;

5. კომპანიის შიდასამეურნეო კონტროლი მოიცავს სამი კატეგორიის მეთოდსა და პროცედურებს, რომლებსაც შეიმუშავენ და იყენებს ადმინისტრაცია, რათა მოახდინოს კონტროლის მიზნებთან შესაბამისობის გარანტია. მათ შიდასამეურნეო კონტროლის ელემენტებს უწოდებენ და ესენია: კონტროლის გარემო, აღრიცხვის სისტემა და კონტროლის პროცედურები. მას შემდეგ, რაც აუდიტორი მიიღებს საერთო ინფორმაციას და შეაგროვებს ფაქტიურ მონაცემებს შიდასამეურნეო კონტროლის სისტემის გამოყენებისათვის, მას შეუძლია შეაფასოს კონტროლის რისკი ცალკეული ამოცანების მიხედვით. ჩვეულებრივ ეს თითოეული შიდასამეურნეო ოპერაციისათვის ცალკე კეთდება გარკვეული ციკლის მიხედვით;

6. საერთო გეგმა უნდა წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს აუდიტის პროგრამის განხორციელებისათვის. აუდიტის პროცესში აუდიტორულ ორგანიზაციას შეიძლება გაუჩნდეს საერთო გეგმის ცალკეული ნაწილის გადახედვის საფუძველი. გეგმაში შეტანილი ცვლილებები, ასევე ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზები აუდიტორმა შესაბამის დოკუმენტებში უნდა ასახოს. საერთო გეგმაში აუდიტორულმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს აუდიტის განხორციელების ვადები და შეადგინოს გრაფიკი, მოამზადოს ანგარიში (წერილობითი ინფორმაცია ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობას), აუდიტორული დასკვნა. დროის ხარჯვის დაგეგმვის პროცესში აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს: რეალური შრომითი ხარჯები; დროის დანაკარგი წინა პერიოდში (განმეორებითი აუდიტის ჩატარების შემთხვევაში) და მისი კავშირი მიმდინარე ანგარიშთან; არსებითობის დონე; აუდიტის რისკების შეფასება. აუდიტის პროგრამა ესაა აუდიტის გეგმის განვითარება და მოიცავს აუდიტორული პროცედურების რიგს, რომლებიც აუცილებელია შემოწმების ნებისმიერ კონკრეტულ ნაწილში. აუდიტის პროგრამა ჩვეულებრივ სამი სეგმენტით ვითარდება: ოპერაციების შემოწმება, ანალიტიკური პროცედურები და სალდოს ცალკეული პროცედურების შეფასება. თითოეული ეს სეგმენტი თავის მხრივ განიხილება წარმოების ციკლებისა და განსხვავებული ანგარიშების მიხედვით.



ქსელური დაგეგმვის მთავარი ამოცანაა მოსალოდნელი დაბრკოლებების წინასწარ გამოვლენა და აუდიტორული სამუშაოს შესრულება ჯერ კიდევ მანამ, სანამ ისინი წარმოიშობა. ამის გამო სისტემაში პროგრამის სამი ელემენტია ჩართული: აუდიტის ხარისხობრივი მახასიათებლები, სამუშაოს შესრულების გრაფიკი და მის განხორციელებაზე გაწეული ხარჯები, გაერთიანებული და გაწერილი დეტალურად აუდიტორული პროცესის პროგრამაში.

ქსელური დაგეგმვის სისტემაში მართვის ობიექტებს წარმოადგენენ შემსრულებლები, რომლებსაც აქვთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები აუდიტორული დაგეგმვის პროცედურათა კომპლექსის სრულად აღსრულებისათვის დროის განსაზღვრულ ვადაში. საინფორმაციო მოდელად, რომლის საშუალებითაც გეგმავენ და აკონტროლებენ აუდიტის პროცესს, გამოიყენება ქსელური მოდელი (გრაფიკი), რომელიც იძლევა დაგეგმვის პროცესის ალგორითმიზაციის საშუალებას და ამავე დროს, მისი შესრულების თანმიმდევრობის განსაზღვრას ახდენს.

აუდიტის პროცესის სტადიების მიხედვით განისაზღვრება სამუშაოების ხასიათი, რომლებიც შეადგენს ქსელური გრაფიკის ნაწილს, ასევე აუდიტის პროცესის განხორციელების განსაზღვრული სამუშაოები. ამ სამუშაოებისა და მათი შესრულების გზების მიხედვით გამოითვლება გრაფიკის სიმჭიდროვე.

ნახაზზე 1 მოცემულია გრაფიკი, რომლის მიხედვითაც განვიხილავთ აუდიტის დაგეგმვისათვის აუცილებელი ქსელური გრაფიკის აგების პრინციპებს. ისრებით ნაჩვენებია ხვდომილებებს შორის კავშირი. თავის მხრივ, ხვდომილებამ შესაძლოა თავის თავში გააერთიანოს რამდენიმე სამუშაო.

ქსელურ გრაფიკსი ყოველთვისაა სულ მცირე ორი ხვდომილება - საწყისი და საბოლოო. საწყის ხვდომილებად ამ პროექტში აღებულია შეთანხმება სამუშაოს დასაწყებად და შესაბამისი ბრძანების გამოცემა. საბოლოო ხვდომილება - ესაა კომპლექსური აუდიტის შედეგები (შიდა აუდიტი).

ქსელური დაგეგმვის სისტემაში იყენებენ სამუშაოს სამ სახეს:


სრული, რომლის დასაწყისიც ემთხვევა საწყის ხვდომილებას და დასასრული ემთხვევა საბოლოოს;

სამუშაო, რომელიც წინ უსწრებს ხვდომილებას, ანუ სამუშაო, რომელიც იწყება საწყისი ხვდომილებიდან ან სამუშაო, რომელიც სრულდება საბოლოო ხვდომილებასზე

დასკვნა

მსხვილი კომპანიების კომპლექსური აუდიტის დაგეგმვისას ქსელური გრაფიკების გამოყენება საშუალებას იძლევა მოხდეს აუდიტორული პროცესის მართვა, რომლის შესრულებას დავალებული აქვს სპეციალისტების ჯგუფს. გარდა ამისა, ამ პროცესში მონაწილეობას იღებს ხელმძღვანელობა და კონტროლირებული ქმედებების სპეციალისტები, რაც საშუალებას იძლევა აუდიტი ჩატარდეს ოპტიმალურ ვადებში, ასევე გაიზარდოს აუდიტის შედეგების სამეცნიერო სანდოობა, გამოვლინდეს რეზერვები და მოხდეს მათი გამოყენება მომავალ ქმედებებსა და საბაზრო ურთიერთობებში.

ნახაზი 1





ბანკების ფინანსები ლიტერატურა

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო. თბილისი. 2010.

2. კიკვაძე ტ., პერიძე თ. ბიზნესის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. თბილისი: “ტექნიკური უნივერსიტეტი”. 2009. Буянкина Е. Сетевое планирование и управление. Михайлов. 2007.

3. Баркалов П.С., Буркова И.В., Глаголев А.В., Колпачев В.Н. ЗАДАЧИ РАСПРЕДЕЛЕНИЯ РЕСУРСОВ В УПРАВЛЕНИИ ПРОЕКТАМИ, Москва: ИПУ РАН, 2002.

4. Ширшиков А.С., Чекайкин С.В. Оценка продолжительности выполнения проекта методом критического пути. Пензенский государственный университет архитектуры и строительства. 2013.

СЕТЕВОЕ ПЛАНИРОВАНИЕ АУДИТА

ТАРИЕЛ КИКВАДZE - профессор GTU

ИРИНЕ ПАРСЕГАШВИЛИ - докторант GTU

E-mail: gvanca@geu.edu.ge

Резюме

Статья представляет процесс планирования аудита с помощью сетевых графиков, подвергаются элементы сети и их возможное применение в процессе планирования конкретных аудиторских деятельности. Процесс аудита определяется в соответствии с фазами характера, который является частью сетевого графика, а также осуществления процесса аудита работ. Дорожные работы и их эффективность рассчитывается в зависимости от плотности графика. Детальный анализ этапов планирования аудита процесса, освещает работу будет осуществляться предварительное последовательности и контролировать выполнение работ и возможного замедления всего комплекса в целях сокращения сроков; Укладка системы планирования Процесс аудита для сетевых объектов, график работы и времени и ресурсов, затрачиваемых на выполнение; Аудит рассмотрел управление группового этапа расписание всех мероприятий, программы работы и других документов.

Основной задачей сетевого планирования и аудиторской работы представляет раннее выявление препятствий, прежде чем они возникнут. Из-за этого система включает в себя три элемента программы: качественные характеристики аудита, график работы и расходы на внедрение и установку деталей в объединенном программе аудита.

NETWORK PLANNING OF AUDIT PROCESS

TARIEL KIKVADZE - professor of GTU

IRINE FARSEGASHVILI - PhD of GTU

E-mail: gvanca@geu.edu.ge

Summary

The main task of the network planning of audit is based on the early identification of obstacles of the audit work before they arise. Because of the system, the program includes three elements: audit's qualitative characteristics, work schedule and the costs of the implementation, and setting out a detailed audit of the joint program. This thesis is about network planning of audit process; It includes detailed analysis of the planning of audit processes, emphasizes the importance of the preliminary definition of executed works and control on their implementation to reduce the dates of the whole complexity of tasks.

There are set out all the main objects of the planning of audit process, work schedule and spent time and resources; It also includes the discussion of all groups of audit control by calendar schedules, work programs and other documents.